



დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
26 აპრილი 2021 წელი; ოქმი N2
განხორციელებული ცვლილება
07 მარტი 2022 წელი; ოქმი N4

ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

ქ.თბილისი



(995 32) 2 66 15 12
(995 32) 2 24 65 90



საქართველო, 0101,
თბილისი, სამღერეთის ქ. 5



info@gtuni.edu.ge
www.gtuni.edu.ge

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდეგში - სასწავლო უნივერსიტეტი) სასწავლო პროცესის ელექტრონულად განხორციელების პირობებში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომებს. ეფუძნება სასწავლო უნივერსიტეტის დოკუმენტებს „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ და „საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლა/სწავლების განხორციელებისა და ადმინისტრირების წესი“, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციებს.
2. ამ დოკუმენტის კონტექსტში ელექტრონული მ.შ. დისტანციური სწავლება წარმოადგენს სწავლების დამატებით და დროებით მეთოდს, რომელიც გამოიყენება ფორსმაჟორულ ვითარებაში კოვიდ-19 ეპიდემიით გამოწვეული დისტანცირების აუცილებლობის დროს. გარდა ამისა, ეს მეთოდი შესაძლო გამოყენებულ იქნეს სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების დროს, აკადემიური/მოწვეული პერსონალის დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტის ერთდროულად ყოფნას.
3. მომავალში, შესაძლოა ელექტრონული/დისტანციური სწავლა-სწავლება გახდეს სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სტრატეგიის ნაწილი, რაც სტუდენტს შესაძლებლობას მისცემს გამოიყენოს მოქნილი (დროისა და ადგილის მიხედვით) მეთოდები, ამასთანავე უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა ონლაინ ინფორმაციის წყაროების, ასევე ვიდეო და აუდიო არხების გამოყენების გზით.

მუხლი 2. ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია¹

ქვემოთ მოცემულია ელექტრონულ სწავლებასთან და სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით ტონი ბეიტსის მიერ ფორმულირებული ტერმინთა განმარტებები, რასაც ეთანხმება ENQA, კერძოდ:

დისტანციური განათლების კურსები (Distance education courses). დისტანციური განათლების კურსებით გათვალისწინებული ლექციები ხორციელდება დისტანციურად, ამისათვის სტუდენტებს არ ჭირდებათ მისვლა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შენობაში. დისტანციური განათლების კურსების განხორციელება ხდება ისეთი საშუალებების გამოყენებით, როგორცაა ვიდეო/აუდიო კონფერენციები და ინტერნეტზე ან ბეჭდურ მასალაზე დაფუძნებული საშუალებები.

ონლაინ კურსები. დისტანციური განათლების ფორმაა, რომელშიც სწავლების განხორციელების

¹ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) სამუშაო ჯგუფის 26-ე ანგარიში ხარისხის უზრუნველყოფისა და ელექტრონული სწავლების შესახებ. AISBL 2018, ბრიუსელი. <http://www.enqa.eu/index.php/publications/papers-reports/occasional-papers>

ძირითადი მექანიზმია ინტერნეტი. სწავლება ხორციელდება დისტანციურად სინქრონული ან ასინქრონული გზით. სწავლება ხორციელდება მხოლოდ დისტანციურად.

სინქრონული ონლაინ კურსები. კურსები, რომლებშიც სტუდენტები და ინსტრუქტორი ერთდროულად მონაწილეობს, მაგრამ სხვადასხვა ლოკაციიდან - ძირითადად სასწავლებლის შენობის გარეთ. ეს კურსები შეიძლება ჩატარდეს ვიდეო კონფერენციებით, ვებ კონფერენციებით, აუდიო კონფერენციებით და ა.შ.

ასინქრონული კურსები. კურსები, სადაც სტუდენტებს არ მოეთხოვებათ მონაწილეობდნენ სესიებში ინსტრუქტორთან ერთად. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ბექდურ მასალაზე დაფუძნებული კურსები ან ონლაინ კურსები, რომლებისთვისაც მაგალითად, სწავლების მართვის სისტემა გამოიყენება.

ონლაინ პროგრამები. აღიარებადი პროგრამები, რომლებიც მხოლოდ ონლაინ კურსებით ხორციელდება და სტუდენტს პროგრამით გათვალისწინებულ ლექციებზე დასასწრებად არ ესაჭიროება სასწავლო უნივერსიტეტის კამპუსში მისვლა. მათი განხორციელება სინქრონული ან ასინქრონული გზით შეიძლება.

შერეული / ჰიბრიდული კურსები. ეს არის კურსები, რომლებიც აგებულია ისე, რომ მოიცავს, როგორც ონლაინ ასევე „პირისპირ“ (ე.წ. face-to-face) სწავლების მეთოდების კომბინაციას.

დისტანციური და ონლაინ განათლების სხვა ფორმები მოიცავს შემდეგს:

OER (ღია საგანმანათლებლო რესურსები). რესურსები, რომლებიც შეთავაზებულია დაინტერესებული პირებისათვის თავისუფალ რეჟიმში. აქ თავისუფალი რეჟიმი ნიშნავს იმას, რომ რესურსები ხელმისაწვდომია უფასოდ და მათი გამოყენება სხვა პირის/მხარის მიერ სრულად დაშვებულია, ან დაშვებულია მცირე შეზღუდვებით, რაც უკავშირდება მასალის ადაპტირებას ან მის ხელახლა გამოყენებას.

MOOCs (მასიური ღია ონლაინ კურსები). ონლაინ კურსები, რომლებიც გათვლილია დიდი რაოდენობით მსმენელებზე, ხშირად ასეთი კურსები არის უფასო და არ აქვს კვალიფიკაციებთან დაკავშირებული წინაპირობები კურსზე დასაშვებად. ეს კურსები ღია სასწავლო რესურსებისაგან (OERs) განსხვავდება იმით, რომ შემოთავაზებულია სრული კურსის გავლა, კურსის შინაარსზე წვდომა, კი ხელმეორედ როგორც წესი, უფასო აღარ არის.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, ზემოთმოყვანილი განმარტებების გათვალისწინებით, ელექტრონული სწავლება უნდა განვიხილოთ, როგორც მიმართულება, რომელიც მოიცავს ყველა ფორმას, მათ შორის შერეულ სწავლებას და ინფორმაციული და სწავლებაში საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას. გამონაკლისს წარმოადგენს MOOCs და OERs რადგან შეფასებებში ეს რესურსები ნაკლებად არის გათვალისწინებული.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ელექტრონული სწავლება ძალიან დინამიური და ინოვაციური სფეროა და დეფინიციების გადახედვა რეგულარულად ხდება, იმისათვის, რომ ეს დეფინიციები უკეთ ასახავდნენ ახალ რეალობას.

მუხლი 3. ელექტრონული სწავლების პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული მიდგომები

1. ინფორმაცია ელექტრონული სწავლების შესახებ საჯარო და ხელმისაწვდომია;
2. ელექტრონული სწავლებისათვის სასწავლო უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურა და მისი მხარდაჭერის მექანიზმები;
3. სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურ(ებ)ი და პირებ(ებ)ი, პასუხისმგებელი არიან ელექტრონული სწავლების ტრეინინგების უზრუნველყოფაზე, რომელთაც შესაბამისი რესურსებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ცოდნა აქვთ და შეუძლიათ აკადემიური პერსონალის დახმარება ელექტრონული სწავლების პროცესში;
4. სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას ელექტრონული სწავლების მიმართულებით; აკადემიურ პერსონალს რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია ელექტრონული სწავლების პედაგოგიკის საუკეთესო პრაქტიკის, ელექტრონული სწავლების საჭირო ტექნოლოგიისა და სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის („software“) გამოყენების შესახებ;
5. სასწავლო უნივერსიტეტი ფლობს პროცედურას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ელექტრონულ ფორმატში შეთავაზებულ კურსზე დარეგისტრირებული სტუდენტისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს ნამდვილობის დადგენა. სტუდენტი კურსზე დარეგისტრირებისას გადის ვერიფიკაციის პროცედურას;
6. ელექტრონული სწავლების პორტალზე დაცულია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის პერსონალური მონაცემები.
7. სასწავლო პროცესის წარმართვისა და ელექტრონული სასწავლო რესურსებით სტუდენტთა უზრუნველყოფის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს Zoom, Moodle და Emisgtuni.ge ელექტრონულ პლატფორმებს. Zoom გამოიყენება სალექციო და სემინარული მეცადინეობების ჩატარებისთვის. Moodle და Emisgtuni.ge გამოიყენება სახელმძღვანელოების, სხვა სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალების, სილაბუსების, და სხვა საჭირო მასალ (ებ)ის გაზიარების, ასევე, სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების დისტანციურად გამოყენების მიზნით. შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა პლატფორმებიც.
8. ელექტრონული სწავლების პროცესში სავალდებულოა საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსების, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურისა და სწავლა-სწავლებისთვის აუცილებელი სხვა მასალების ელექტრონული ფორმით გაზიარება.

მუხლი 4. სასწავლო კურსის ელექტრონულ ფორმატში წარმართვის სპეციფიკა და ხარისხის უზრუნველყოფა

1. სასწავლო კურსი, რომელიც წარმართება ელექტრონულ/დისტანციურ ფორმატში შეესაბამება პირისპირ წასაკითხ სასწავლო კურსს, სწავლებისას გამოიყენება შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიები და უზრუნველყოფს იმავე სწავლის შედეგებზე გასვლას;
2. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი უძღვება სასწავლო კურსებს დისტანციური სწავლების კომპონენტებით;
3. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი პასუხისმგებელია მიწოდებული მასალის შესაბამისობაზე, ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე;

4. აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ შერჩეული სწავლების მეთოდოლოგია და სასწავლო აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას; სასწავლო კურსის დისტანციური კომპონენტებში გამოყენებული სწავლებისა და შეფასების მეთოდები ადეკვატურია აღნიშნული საგნის სპეციფიკის და სასწავლო კურსზე დარეგისტრირებული ჯგუფის მოცულობის;
5. სავალდებულოა, რომ დისტანციური სწავლება უზრუნველყოფდეს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, სტუდენტსა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის შორის ინტერაქციას;
6. ელექტრონული სწავლება გამოიყენება სასწავლო კურსების მხოლოდ იმ კომპონენტების განსახორციელებლად, რომელთა წარმართვაც შესაძლებელია დისტანციური სწავლების რეჟიმში;
7. ინფორმაციის გაცვლის მიზნით მიზანშეწონილია შეიქიმნას სტუდენტთა სადისკუსიო ჯგუფები;
8. აკადემიური პერსონალი მომზადებულია და შეუძლია სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის პორტალის (LMS) /ვირტუალური სასწავლო გარემოს გამოყენება (emisadmin.ge)
9. აკადემიური პერსონალი ეფექტურად იყენებს ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიებსა და ელექტრონული შეფასების მეთოდებს;
9. სასწავლო პროცესის მართვისა და მეცნიერების სამსახური უზრუნველყოფს ელექტრონული პლატფორმების გამოყენების შესახებ ინსტრუქციების მომზადებას და გავრცელებას, საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარებას (მ.შ. ტრენინგისა და კონსალტინგის ცენტრის მეშვეობით) სტუდენტთა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.
10. დისტანციური სწავლება ხორციელდება სინქრონული ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით, რაც განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის დოკუმენტით „საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლა/სწავლების განხორციელებისა და ადმინისტრირების წესი“.
11. ონლაინ სწავლების პროცესში სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტისათვის სასწავლო გეგმით განსაზღვრული დავალებების მიცემას, კონსულტირებას. ამ მიზნის მისაღწევად აკადემიური/მოწვეული პერსონალი გამოიყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას, მათ შორის, სატელეფონო კომუნიკაციასაც. სტუდენტი ვალდებულია, ითანამშრომლოს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.
12. ელექტრონული სწავლებისთვის საჭირო ტექნიკური ბაზის მომზადებისა და სწავლების ელექტრონულ რეჟიმში განსახორციელებლად საჭირო დატვირთვის გასამკლავებლად სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის განთავსებისა და ელექტრონული მასალების შენახვისთვის საჭირო სივრცის შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული მასალების განსათავსებლად საჭირო სივრცის გაზრდას.
13. სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ელექტრონულ პლატფორმებზე დაშვებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შემთხვევაში საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსების ელექტრონულ პლატფორმაზე ატვირთვის, ხოლო სტუდენტების შემთხვევაში ატვირთულ ელექტრონულ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით.

14. სტუდენტი ონლაინ სივრცეში შემოსვლით და ჩართულობით ადასტურებს სასწავლო პროცესში მონაწილეობას, ამასთან ვალდებულია პირდაპირ რეჟიმში ჩართვა განახორციელოს წყნარი სივრციდან და დაიცვას ინტერნეტ- ეტიკეტის ნორმები.
15. ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სასწავლო/საგამოცდო პროცესების მიმდინარეობის ტექნიკურ მხარდაჭერას, პროცესების გამართულად წარმართვისა და საჭიროების შემთხვევაში დახმარების აღმოჩენის, ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

მუხლი 5. მიდგომები ელექტრონული სწავლების პროცესს მიღმა დარჩენილ სტუდენტთა მიმართ

1. ფაკულტეტები ახორციელებენ იმ სტუდენტთა იდენტიფიცირებას, რომელნიც სათანადო ტექნიკური რესურსის არქონის, ასევე ინტერნეტთან ხარისხიანი წვდომის შეუძლებლობისა და სხვა ობიექტური მიზეზის გამო, სრულფასოვნად ვერ მონაწილეობენ სასწავლო პროცესში.
2. ელექტრონული სწავლების მიღმა დარჩენილ სტუდენტებს სასწავლო უნივერსიტეტი სთავაზობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას და მიდგომებს, რათა მათ მიერ მიღწეულ იქნეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები.
3. ინტერნეტზე მუდმივი წვდომის არმქონე სტუდენტებისთვის სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ახდენს სალექციო საათების, პრაქტიკული სასწავლო კურსების შემთხვევაში კი სალექციო/სასემინარო საათების ჩაწერას და ჩანაწერების ატვირთვას.
4. სალექციო საათების, პრაქტიკული სასწავლო კურსების შემთხვევაში კი სალექციო/სასემინარო საათების ჩაწერას, ატვირთვას და სტუდენტებისათვის წვდომას უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალი.
5. აკადემიური/მოწვეული პერსონალი ჩანაწერების ატვირთვას ახდენს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური მიერ წინასწარ შექმნილ სივრცეში Google Drive -ზე.
6. ჩაწერილი ვიდეო ლექციები/სემინარები ინახე ერთი სემესტრის განმავლობაში და სემესტრის დასრულების შემდეგ ნადგურდება ელექტრონულ სისტემებზე პასუხისმგებელი პირის მიერ.
7. სალექციო საათების, პრაქტიკული სასწავლო კურსების შემთხვევაში კი სალექციო/სასემინარო საათების ჩაწერის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტი წინასწარ, ელექტრონული ფორმით, ატყობინებს პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. (დანართი 1) .

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესაძლო ცვლილებები ელექტრონული სწავლების პირობებში

1. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლების მეთოდების გამოყენება ვერ ხორციელდება ელექტრონულ რეჟიმში, სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ შესაძლებელია მოხდეს სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების მოდიფიცირება.
2. სწავლა-სწავლებისა და შეფასების მოდიფიცირებული მეთოდები უნდა უზრუნველყოფდნენ სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსის ფარგლებში

სწავლების განსხვავებული მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და ახსნას ცვლილების საჭიროება.

3. პროგრამის ხელმძღვანელები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენენ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ, ცვლილებების საჭიროებისა და იმ სასწავლო კურსების შესახებ, რომლის ფარგლებშიც დისტანციური სწავლების პირობებში გამოყენებულ იქნა სწავლების განსხვავებული მეთოდები. აღნიშნულ ანგარიშში პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან საჭიროა დასაბუთდეს სწავლების განსხვავებული მეთოდებით სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.
4. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტები, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა შეუძლებელია ელექტრონული სწავლების პირობებში, სავალდებულოა განხორციელდეს სასწავლო გეგმით განსაზღვრული პერიოდისგან განსხვავებულ დროს, როგორც სტუდენტთა საუნივერსიტეტო სივრცეში დაბრუნების შემდეგ, ისე პრაქტიკის ობიექტზე, ისე შერეული (ჰიბრიდული) მეთოდით.
5. ელექტრონული სწავლების პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კომისიის მიერ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მონიტორინგის ადმინისტრირების წესი“-ს შესაბამისად.

მუხლი 7. საგამოცდო პროცესის ადმინისტრირება ელექტრონული სწავლების პროცესში

1. საგამოცდო პროცესების წარმართვის ზოგადი პრინციპები განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის დოკუმენტით „გამოცდების ჩატარების წესი“.
2. საგამოცდო პროცესების ელექტრონულ ფორმატში, დისტანციურად წარმართვის შემთხვევაში მნიშვნელოვანია ავთენტურობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პრევენცია, რისთვისაც ხდება სტუდენტის ვინაობის იდენტიფიცირება, რათა საგამოცდო დავალებები შესრულდეს იდენტიფიცირებული სტუდენტის მიერ.
3. პერსონალური კომპიუტერისა და სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის არმქონე სტუდენტების გამოვლენის და მათი მხრიდან დაფიქსირებული სურვილის საფუძველზე, მათ შესაძლებლობა ეძლევათ საგამოცდო დავალებები შეასრულონ ფურცელზე და შესრულებული ნაშრომის გამოსახულება მიაწოდონ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს.
4. საგამოცდო პროცესების ადმინისტრირებისა და წარმართვის შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად სასწავლო პროცესის მართვისა და მეცნიერების სამსახური და ფაკულტეტი ახდენს რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების ონლაინ რეჟიმში ჩატარებას. საგამოცდო პროცესების შესახებ ინსტრუქცია გასაცნობად ეგზავნებათ სტუდენტებს საგამოცდო პროცესების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.
5. ელექტრონული ფორმით სწავლების პირობებში საგანმანათლებლო პროგრამებით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით, შესაძლებელია მოხდეს საგამოცდო პერიოდის გახანგრძლივება და აკადემიური კალენდრის შესაბამისად მოდიფიცირება.

- სწავლის შედეგები, რომელთა შეფასებაც შეუძლებელია განხორციელდეს დისტანციურ რეჟიმში, შესაძლებელია შეფასდეს სტუდენტთა საუნივერსიტეტო სივრცეში დაბრუნებისა და საგამოცდო პროცესების ტრადიციული ფორმით განხორციელების შესაძლებლობის მიღების შემდეგ.

მუხლი 8. საბიბლიოთეკო რესურსების შეფასება ონ-ლაინ სწავლა-სწავლების პროცესში

- საგანმანათლებლო პროგრამების ელექტრონული რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება საბიბლიოთეკო რესურსების შეფასება.
- სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სილაბუსით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურის ელექტრონული ფორმით სტუდენტებისთვის მიწოდებას შესაბამისი ელექტრონული პლატფორმის (Emisgtuni.ge) საშუალებით.

მუხლი 9. ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა

- სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას სწავლების ალტერნატიული გეგმისა და ინდივიდუალური მიდგომების შესახებ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ინფორმაციის საჯაროდ განთავსებით.
- სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ელექტრონული სწავლების პირობებში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო გეგმასთან, სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული ცვლილებების, სასწავლო და საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებული ცვლილებებისა და განსხვავებული მიდგომების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას.
- სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ელექტრონული სწავლების პირობებში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული მიდგომებისა და მექანიზმების სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომობას.

მუხლი 10. პერსონალური მონაცემების დაცვა

- ონლაინ შეხვედრების, ონლაინ-სწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემებს, რაც გათვალისწინებულია მათი გასაჯაროებისას. ელექტრონული სწავლების პირობებში, საჯარო სივრცეში ონლაინ სასწავლო პროცესის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალის უნებართვოდ გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თითოეული მხარის ინფორმირებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელოვანების შესახებ. სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან საჯარო სივრცეში პერსონალური მონაცემების შემცველი ფოტო/ვიდეო მასალის განთავსება ხდება მხოლოდ სტუდენტის/პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თანხმობის შემთხვევაში.
- პირის პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით გააცნოს სტუდენტს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემს ან/და მის ინტელექტუალურ საკუთრებას (ონლაინ ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მიდგომები, სასწავლო პროცესის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა) და ამასთანავე, აცნობს მონაცემების დაცვის ვალდებულებას. ელექტრონულ პლატფორმაზე წვდომით სტუდენტი იზიარებს და თანხმდება, რომ მონაცემების დამუშავება, შენახვა და გავრცელება გამოიწვევს

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას. (იხ. დანართი 2 - სტუდენტთა ინფორმირება პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ).

მუხლი 11. ელექტრონული სწავლების პროცესის მიმდინარეობის შეფასებ კითხვარების მეშვეობით

1. ელექტრონული სწავლების პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვას, სასწავლო პროცესის ელექტრონულ რეჟიმში განხორციელების შეფასებისა და ამ პროცესით მათი კმაყოფილების კვლევის მიზნით შემუშავებული კითხვარის გამოყენებით (იხ. დანართი 3. - აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ ელექტრონული სწავლების შეფასების კითხვარი).
2. ელექტრონული სწავლების პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სტუდენტების გამოკითხვას, სასწავლო პროცესის ელექტრონულ რეჟიმში განხორციელების შეფასებისა და ამ პროცესით მათი კმაყოფილების კვლევის მიზნით შემუშავებული კითხვარის გამოყენებით (იხ. დანართი 4 - სტუდენტის მიერ ელექტრონული სწავლების შეფასების კითხვარი).
3. საგამოცდო პროცესების ელექტრონულ რეჟიმში მიმდინარეობის შეფასებისა და ამ კუთხით სტუდენტთა კმაყოფილების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს გამოკითხვას (იხ. დანართი 5. - ელექტრონულ რეჟიმში განხორციელებული საგამოცდო პროცესების შეფასების კითხვარი).
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გამოკითხვის შედეგების დამუშავების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები და რეკომენდაციები აისახება კომისიის შეფასების შემაჯამებელი ანგარიშის ფორმაში.

მუხლი 12. ანგარიშგება

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მხრიდან ელექტრონულ ფორმატში შესრულებული საქმიანობის შეფასების, ასევე, სასწავლო-საგამოცდო პროცესების მიმდინარეობის დამატებით შესწავლისა და შეფასების, სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდამჭერი ღონისძიებების, მათი ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული ტრენინგების, სხვა დამხმარე მასალებით მათი უზრუნველყოფის შესწავლისა და შეფასების მიზნით, პერიოდულად გამოითხოვს შესრულებული საქმიანობის შესახებ ანგარიშს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისგან, შეფასების მიზნების შესაბამისად.
2. საქმიანობის ამსახველი ანგარიშების დამუშავებისა და გაანალიზების შედეგად გამოკვეთილი საყურადღებო საკითხების საფუძველზე შესაძლებელია გაიცეს რეკომენდაციები პროცესების უკეთ წარმართვისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტრუქტურული ერთეულებისგან გამოითხოვს გაცემულ შეფასებებსა და რეკომენდაციებზე რეაგირების ანგარიშს ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შეფასების მიზნით.



აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინფორმირება სალექციო/სასემინარო საათების ჩაწერისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ

ელექტრონული სწავლების მიღმა დარჩენილ სტუდენტებს სასწავლო უნივერსიტეტი სთავაზობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას და მიდგომებს, რათა მათ მიერ მიღწეულ იქნეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები.

ინტერნეტზე მუდმივი წვდომის არმქონე სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის ხელმისაწვდომოს მიზნით სასწავლო კურსის განმახორციელებელმა აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა უნდა მოახდინოს სალექციო საათების, პრაქტიკული სასწავლო კურსების შემთხვევაში კი სალექციო/სასემინარო საათების ჩაწერა და ჩანაწერების ატვირთვა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური მიერ წინასწარ შექმნილ სივრცეში Google Drive -ზე.

სალექციო საათების, პრაქტიკული სასწავლო კურსების შემთხვევაში კი სალექციო/სასემინარო საათების ჩაწერას, ატვირთვას და სტუდენტებისათვის წვდომის უზრუნველყოფას ახდენს აკადემიური/მოწვეული პერსონალი.

ჩაწერილი ვიდეო ლექციების/სემინარების შენახვა მოხდება ერთი სემესტრის განმავლობაში და სემესტრის დასრულების შემდეგ განადგურდება ელექტრონულ სისტემებზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

ელექტრონული სწავლება დაკავშირებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან და შენახვასთან. ამ პროცესში მნიშვნელოვანია მონაწილე პირთა, როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური/მოწვეული პერსონალის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი. ლექციების აუდიო/ვიდეო ჩანაწერები და ონლაინ სასწავლო შეხვედრების ამსახველი ვიდეო/აუდიო/ფოტომასალა, მათ შორის, ე.წ. „სქრინშოთი“, წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს და ეს გათვალისწინებული უნდა იყოს მოსმენისას, შენახვისას და სხვა პირებისთვის გაზიარებისას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ვალდებულება ეკისრება ელექტრონულ სწავლებაში ჩართულ ყველა მხარეს, რადგან პერსონალურ მონაცემთა არასწორი გამოყენების შემთხვევაში შესაძლოა დაირღვეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.



სტუდენტთა ინფორმირება პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლიდან გამომდინარე, ონლაინ შეხვედრების, ონლაინ სწავლების ამსახველი მასალა (ფოტო-ვიდეო გამოსახულება) წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემს ან/და მის ინტელექტუალურ საკუთრებას. შესაბამისად, ვიდეო ვალდებულებას არ დაუშვა მათი გასაჯაროება (სოციალურ ქსელებში ონლაინ სასწავლო პროცესის, ონლაინ შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალის გამოქვეყნება და ა. შ.), ჩამოტვირთვა, არაუფლებამოსილი პირის დაშვება ან დამუშავება გავრცელების მიზნით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. ასევე, ვადასტურებ, რომ სასწავლო უნივერსიტეტმა გამაცნო ქსელური ეტიკეტის ნორმები.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტებისათვის ელექტრონული ფორმატით მომზადებული სალექციო მასალები (პრეზენტაციები, დავალებები, ვიდეო/აუდიოლექციები) გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ და მხოლოდ სასწავლო მიზნებისათვის, ანუ სტუდენტებმა ჩანაწერებით უნდა ისარგებლონ მხოლოდ დანიშნულებისამებრ და არ გაუზიარონ ისინი მესამე პირებს, მათ შორის სოციალური ქსელების მეშვეობით სხვადასხვა ჯგუფების წევრებს და არ გახადონ ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომი.

ვაცნობიერებ, რომ ჩემს მიერ მონაცემების დამუშავება, შენახვა და გავრცელება გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

<https://personaldata.ge/ka/press/post/6349>

<https://matsne.gov.ge/document/view/1561437?publication>

გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

პერსონალური მონაცემი (შემდგომ – მონაცემი) – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით;

მონაცემთა დამუშავება – ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ ელექტრონული სწავლების შეფასების კითხვარი
გთხოვთ შეავსოთ კითხვარი, რაც დაგვეხმარება სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებაში.

1. საგანმანათლებლო პროგრამა რომელზეც ასწავლით: -----
2. საფეხური: ბაკალავრიატი მაგისტრატურა
3. გთხოვთ შეაფასოთ ჩატარებული ონლაინ ლექციები
 - ლექციები მიმდინარეობს ძალიან კარგად
 - ლექციები მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად
 - ლექციები მიმდინარეობს ცუდად
 - სხვა, გთხოვთ დააკონკრეტოთ -----
4. ონლაინ ლექციის ფარგლებში თვლით თუ არა რომ საერთო ჯამში მიაღწიეთ შეხვედრით განსაზღვრულ სწავლის მიზნებსა და შედეგებს?
 - სრულად მივაღწიე
 - ნაწილობრივ მივაღწიე
 - ვერ მივაღწიე
 - სხვა, გთხოვთ დააკონკრეტოთ
5. თუ მე-4 კითხვაზე თქვენი პასუხია „ვერ მივაღწიე“ ან „ნაწილობრივ მივაღწიე“, გთხოვთ დააკონკრეტოთ, რა არის საჭირო შეხვედრების შედეგის გასაუმჯობესებლად?

თვლით თუ არა რომ ადმინისტრაციის მხრიდან გჭირდებათ გარკვეული მხარდაჭერა ონლაინ შეხვედრების უკეთ წარმართვისთვის?
 - დიახ არა
 - თუ თქვენი პასუხია „დიახ“ გთხოვთ დააკონკრეტოთ, რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით ადმინისტრაციისგან:-----
6. ახერხებთ თუ არა ონლაინ ლექციების ჩატარებას აქტიური და ინტერაქტიული მეთოდით?
 - დიახ არა
7. გთხოვთ დააკონკრეტოთ რა ტიპის აქტივობებსა და დავალებებს იყენებთ ონლაინ ლექციის მსვლელობის დროს?

8. იყო თუ არა რაიმე ტიპის ტექნიკური შეფერხება ლექცია/პრაქტიკული მუშაობის მსვლელობისას?
 - დიახ არა
 - თუ თქვენი პასუხია „დიახ“, გთხოვთ, აღწეროთ რა სახის შეფერხებებს ჰქონდა ადგილი -----
9. რამდენად კმაყოფილი ხართ სტუდენტთა დასწრებითა და აქტივობით ონ-ლაინ რეჟიმში მუშაობის მსვლელობისას?
 - ძალიან უკმაყოფილო ვარ
 - უკმაყოფილო ვარ
 - ნეიტრალური ვარ
 - კმაყოფილი ვარ
 - ძალიან კმაყოფილი ვარ
10. შეცვალეთ თუ არა შეფასების მეთოდები ონ-ლაინ რეჟიმში მუშაობის პროცესში?
 - დიახ არა
 - თუ თქვენი პასუხია „დიახ“, გთხოვთ, აღწეროთ რა სახის ცვლილებები განახორციელეთ -----

გმადლობთ გამოკითხვაში მონაწილეობისათვის!



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
სტუდენტის მიერ ელექტრონული სწავლების შეფასების კითხვარი

გთხოვთ შეავსოთ კითხვარი, რაც დაგვეხმარება სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებაში.

1. საგანმანათლებლო პროგრამა რომელზეც სწავლობთ: -----
2. საფეხური: ბაკალავრიატი მაგისტრატურა
3. გთხოვთ შეაფასოთ ჩატარებული ონლაინ ლექციები:
 - ლექციები მიმდინარეობს ძალიან კარგად
 - ლექციები მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად
 - ლექციები მიმდინარეობს ცუდად
 - სხვა, გთხოვთ დააკონკრეტოთ -----
4. ონლაინ ლექციის ფარგლებში თვლით თუ არა რომ საერთო ჯამში მიაღწიეთ შეხვედრით განსაზღვრულ სწავლის მიზნებსა და შედეგებს?
 - სრულად მივაღწიე
 - ნაწილობრივ მივაღწიე
 - ვერ მივაღწიე
 - სხვა, გთხოვთ დააკონკრეტოთ
5. თუ მე-4 კითხვაზე თქვენი პასუხია „ვერ მივაღწიე“ ან „ნაწილობრივ მივაღწიე“, გთხოვთ დააკონკრეტოთ რა არის საჭირო შეხვედრების შედეგის გასაუმჯობესებლად?

6. თვლით თუ არა რომ ადმინისტრაციის მხრიდან გჭირდებათ გარკვეული მხარდაჭერა ონლაინ შეხვედრების უკეთ წარმართვისთვის?
 - დიახ არა
 - თუ თქვენი პასუხია „დიახ“ გთხოვთ დააკონკრეტოთ, რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით ადმინისტრაციისგან:-----
7. ახერხებს თუ არა აკადემიური/მოწვეული პერსონალი ონლაინ ლექციების ჩატარებას აქტიური და ინტერაქტიული მეთოდით?
 - დიახ არა
8. გთხოვთ დააკონკრეტოთ რა ტიპის აქტივობებსა და დავალებებს იყენებს აკადემიური/მოწვეული პერსონალი ონლაინ ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობის დროს?

9. იყო თუ არა რაიმე ტიპის ტექნიკური შეფერხება ლექცია/პრაქტიკული მუშაობის მსვლელობისას?
 - დიახ არა
 - თუ თქვენი პასუხია „დიახ“, გთხოვთ, აღწეროთ რა სახის შეფერხებებს ჰქონდა ადგილი -----
10. რამდენად კმაყოფილი ხართ ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების ხარისხით და შეფასების მეთოდებით?
 - ძალიან უკმაყოფილო ვარ
 - უკმაყოფილო ვარ
 - ნეიტრალური ვარ
 - კმაყოფილი ვარ
 - ძალიან კმაყოფილი ვარ

გმადლობთ გამოკითხვაში მონაწილეობისათვის!



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტის მიერ ელექტრონულ რეჟიმში განხორციელებული საგამოცდო პროცესების შეფასების კითხვარი

გთხოვთ შეავსოთ კითხვარი, რაც დაგეხმარება სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებაში.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!

1. საგანმანათლებლო პროგრამა რომელზეც სწავლობთ: -----
2. საფეხური: ბაკალავრიატი მაგისტრატურა
3. სემესტრი: -----
4. გთხოვთ ზოგადად შეაფასოთ საგამოცდო პროცესის ორგანიზება:
 - ძალიან კარგი
 - კარგი
 - დამაკმაყოფილებელი
 - ცუდი
 - ძალიან ცუდი
5. გთხოვთ შეაფასოთ საგამოცდო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფა
 - ძალიან კარგი
 - კარგი
 - დამაკმაყოფილებელი
 - ცუდი
 - ძალიან ცუდი

იმ შემთხვევაში თუ თვლით, რომ საგამოცდო პროცესი ტექნიკურად არ იყო გამართული, გთხოვთ ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, დაწეროთ თქვენი კომენტარი (რჩევა)-----

6. მოხდა თუ არა თქვენი პიროვნების იდენტიფიცირება საგამოცდო პროცესის დაწყებამდე
 - დიახ არა
7. გთხოვთ დააკონკრეტოთ რა ტიპის აქტივობებსა და დავალებებს იყენებთ ონლაინ ლექციის მსვლელობის დროს? -----
8. გთხოვთ შეაფასოთ 1-დან 5 ქულით ქვემოთ მოცემული მტკიცებულებები (1-ყველაზე დაბალი შეფასება, 5 -ყველაზე მაღალი შეფასება):

| მტკიცებულებები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|--|---|---|---|---|---|
| 1. საგამოცდო საკითხები შეესაბამებოდა სასწავლო კურსის შინაარსს | | | | | |
| 2. საგამოცდო საკითხები შეესაბამებოდა სასწავლო კურსის სილაბუსი განსაზღვრულ საგამოცდო დავალებებს | | | | | |
| 3. საგამოცდო საკითხები გარკვევით იყო ფორმულირებული | | | | | |
| 4. გამოცდები იწყებოდა ყოველთვის განრიგით განსაზღვრულ დროს | | | | | |

| | | | | | |
|--|--|--|--|--|--|
| 5. გამოცდის დაწყებამდე და მსვლელობისას ხდებოდა ყველა საჭირო ინსტრუქციებით სტუდენტის უზრუნველყოფა | | | | | |
| 6. გამოცდის ხანგრძლივობა სათანადო იყო | | | | | |
| 7. საგამოცდო ცხრილი იყო კარგად შედგენილი (გამოცდები არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს და ა.შ.) | | | | | |
| 8. საერთო ჯამში გამოცდები იყო კარგად ორგანიზებული | | | | | |

9. გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები და რეკომენდაციები საგამოცდო პროცესის დახვეწისა და უკეთ ორგანიზებისათვის _____

გმადლობთ გამოკითხვაში მონაწილეობისათვის!